სასწავლო კურსის / მოდულის/ კომპონენტის სახელწოდება / კოდი	მუსიკათერაპიის საფუძვლები
საგანმანათლებლო პროგრამა	
ფაკულტეტი / ფაკულტეტები	
სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი
სწავლების სემესტრი	
ლექტორი / ლექტორები	რუსუდან ჩუნთიშვილი. მუსიკათერაპიის მაგისტრი (ილინოისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა rusudanchuntishvili@yahoo.com
სილაბუსის ავტორი	რუსუდან ჩუნთიშვილი
სასწავლო კურსის / მოდულის / კომპონენტის სტატუსი	არჩევითი
ECTS კრედიტების რაოდენობა (სემესტრების მიხედვით)	კრედიტები: 1 ECTS კრედიტი საათების რაოდენობა: 25 სთ. საკონტაქტო 15 სთ დამოუკიდებელი სამუშაო საათები: 10 სთ შუალედური და დასკვნითი გამოცდა - 2 სთ.
სასწავლო კურსის / კომპონენტის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს მუსიკათერაპია, მისი პრინციპებისა და მიდგომების გამოყენება თერაპიულ გარემოში ცხოვრებისეული უნარების განვითარების მიზნით. სტუდენტები გამოცდიან მუსიკას, როგორც ადამინის რეაბილიტაციისა და სოციალური ცხოვრების პროცესში თანმხლებ თერაპიულ მედიუმს. შეისწავლიან მუსიკათერაპიის ძირითად მეთოდებს და ამ მეთოდების გამოყენებას ადამიანების ფუნქციური, ფიზიოლოგიური, თუ მენტალური განვითარებისა და სწავლების ხელშეწყობის მიზნით.
სასწავლო კურსის / მოდულის /კომპონენტის შესწავლის წინაპირობები	წინაპირობის გარეშე
სასწავლო კურსის / მოდულის /კომპონენტის შინაარსი	**<u>კვირა N1.</u>** კურსის მიმოხილვა. მუსიკათერაპიის განმარტება და ამ პროფესიის განვითარების ისტორია. ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა. Davis, W.B., Gfeller, K.E., & Thaut, M. H. (2008). თავი 1, 2. გვ.3-32

	<u>**კვირა N2**</u> მუსიკა ადამიანის განვითარებისა და ფუნქციური მხარეების სხვადასხვა საფეხურებზე. მუსიკა, როგორც თერაპიული იარაღი. **დავალებები: რეფლექსია N1** ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა. Davis, W.B., Gfeller, K.E., & Thaut, M. H. (2008). თავი 3. გვ. 41-67 Hesser, B. (2001). <u>**კვირა N3**</u> მუშაობის პროცესი, მიზნები და მიდგომები მუსიკათერაპიაში. ნაწ. I ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა. დამატებითი საკითხავი: Hanser (2001) თავი 3,4. გვ. 41-96 <u>**კვირა N4**</u> მუშაობის პროცესი, მიზნები და მიდგომები მუსიკათერაპიაში ნაწ II ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა. დამატებითი საკითხავი: Hanser (2001) თავი 6,7,12. გვ.99-133, 237-242 <u>**კვირა N5**</u> სამუშაო სტრატეგიები. ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა. დამატებითი საკითხავი: Hanser (2001) თავი 8. გვ.135-163 <u>**კვირა N6**</u> მუსიკის გავლენა ქცევაზე. ქცევის მართვის სხვადასხვა ტექნიკები. მუსიკის გამოყენება გონებრივი განვითარების დეფიციტის მქონე ადამიანებთან. **დავალებები: რეფლექსია N2** ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა. დამატებითი საკთხავი Davis, W.B., Gfeller, K.E., & Thaut, M. H. (2008). თავი 4,5 გვ. 79-135 <u>**კვირა N7**</u> მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენება: დასარტყამი ინსტრუმენტები. მუსიკის გამოყენება ფიზიკური განვითარების დეფიციტის მქონე ადამიანებთან. ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა.

	დამატებითი საკითხავი Davis, W.B., Gfeller, K.E., & Thaut, M. H. (2008). თავი 6, გვ. 143-175 **<u>კვირა N8 შუალედური გამოცდა</u>** ჯგუფური ქეის-პრეზენტაციები **<u>კვირა N9</u>** მუსიკა და მოძრაობა. **დავალებები: რეფლექსია N3** ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა. დამატებითი საკითხავი: Davis, W.B., Gfeller, K.E., & Thaut, M. H. (2008). თავი 7, გვ. 181-201 Grocke, D., & Wigram, T. (2007a). **<u>კვირა N10</u>** მუსიკა და სიმღერა. მუსიკის გამოყენება ქცევით-ემოციური აშლილობის მქონე ადამიანებთან. **დავალებები: ინდივიდუალური ქეის-პრეზენტაცია (ნაწ.1)** ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა. დამატებითი საკითხავი: Davis, W.B., Gfeller, K.E., & Thaut, M. H. (2008). თავი 8, გვ. 209-241 **<u>კვირა N11</u>** ჯგუფური მუსიკათერაპია, სხვადასხვა სტრატეგიები, ტექნიკა და უნარები **დავალებები: ინდივიდუალური ქეის-პრეზენტაცია (ნაწ.2)** ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა. დამატებითი საკითხავი: Davis, W.B., Gfeller, K.E., & Thaut, M. H. (2008). თავი 9, გვ. 79-135 **<u>კვირა N12</u>** მუსიკათერაპია, მედიცინა და კეთილდღეობა. **დავალებები: რეფლექსია N4** ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა. დამატებითი საკითხავი: Davis, W.B., Gfeller, K.E., & Thaut, M. H. (2008). თავი 11, გვ. 305-332 **<u>კვირა N13</u>** თერაპიული დრამი (drum) ნაწ.I ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა. დამატებითი საკითხავი: Stevens, C. (2003).

	<u>**კვირა N14**</u> თერაპიული დრამი (drum) ნაწ.II. მუსიკათერაპია სენსორული აშლილობების დროს. მუსიკათერაპია ინკლუზიურ გარემოში. ლექტორის მიერ მიწოდებული მასალა. დამატებითი საკითხავი: Stevens, C. (2003). Davis, W.B., Gfeller, K.E., & Thaut, M. H. (2008). თავი 14, გვ. 405-423 <u>**კვირა N15**</u> კურსის შეჯამება და საგამოცდო მასალის მიმოხილვა. **დავალებები: რეფლექსია N5**
სწავლების მეთოდები	ლექციები, ვერბალური და წერითი სამუშაოები, ინდივიდუალური და გუნდური პრეზენტაციები, ვიდეო მასალის გამოყენება, დისკუსიები, სიმულაცია-როლური თამაში. სწავლების პროცესში გავლილ თემებზე სტუდენტები წარმოადგენენ ინდივიდუალურ, ან ჯგუფურ ქეის-პრეზენტაციებს და მოახდენენ შესაბამისი მიდგომების პრაქტიკული მაგალითების ჩვენებას.
შეფასების მეთოდები	• სალექციო პროცესში დასწრება-აქტიურობა - 15 ქულა (იხ.: განმარტება 1) • დავალებები: 25 ქულა (იხ.: განმარტება 2) • შუალედური გამოცდა: 20 ქულა (იხ.: განმარტება 3) • ფინალური გამოცდა: 40 ქულა (იხ.: განმარტება 4) საბოლოო შეფასება: 100 ქულა **განმარტება 1** სტუდენტს მოეთხოვება სალექციო პროცესში აქტიური ჩართულობა დისკუსიებისა და სიმულაცია-როლური თამაშების დროს. შეფასება შემდეგნაირია (<u>ქულათა მაქსიმალური ჯამი - 15 ქულა</u>): • სტუდენტი აქტიურად ჩაერთო სალექციო პროცესში- 1 ქულა; • სტუდენტი არ ჩაერთო სასწავლო პროცესის მსვლელობაში, არ იაქტიურა - 0 ქულა; **განმარტება 2** მოსამზადებელი დავალებები: 1) ე.წ. რეფლექსია (წერით ფორმატში) ლექტორის მიერ დავალებულ თემაზე - კურსის განმავლობაში 5 (თითო 3 ქულა, ჯამში 15 ქულა). შეფასების კრიტერიუმები იხ. დანათი №1 2) ინდივიდუალური ე.წ. ქეის-პრეზენტაცია ლექტორთან წინასწარ შეთანხმებულ მუსიკათერაპიის ტექნიკებზე/მიდგომებზე - 10 ქულა. ქეის-პრეზენტაცია მოიცავს როლური თამაშის გამოყენებით ქცევის მართვის სტრატეგიის წარმოდგენას. შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი №2 <u>ჯამში 25 ქულა</u>

	განმარტება 3 შუალედური გამოცდა ჩატარდება ორ ეტაპად: 1) წერითი ტესტი: 10 შეკითხვა, 5- ღია, 5 - დახურული შეკითხვა (თითოეული ფასდება 1 ქულით, ჯამში 10 ქულა) 2) ჯგუფური ქეის-პრეზენტაცია ლექტორთან წინასწარ შეთანხმებულ საკითხზე - 10 ქულა <u>ჯამში - 20 ქულა</u> (შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი 2) **განმარტება 4** ფინალური გამოცდა, რომელიც ჯამში ფასდება 40 ქულით, ჩატარდება ორ ეტაპად: 1) წერითი ტესტი: 10 შეკითხვა, 5- ღია, 5 - დახურული შეკითხვა (ღია შეკითხვები -თითოეული ფასდება 3 ქულით, დახურული - 1 ქულით. ჯამში 20 ქულა) 2) ინდივიდუალური ქეის-პრეზენტაცია ლექტორთან წინასწარ შეთანხმებულ საკითხზე - 20 ქულა <u>ჯამში 40 ქულა</u> (შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი 2) **წერითი ტესტის შეფასების კრიტერიუმები:** <u>ღია შეკითხვა:</u> პასუხი ამომწურავად არის გაცემული. სტუდენტი სრულყოფილად ფლობს მასალას - 3 ქულა პასუხი ნაწილობრივ არის გაცემული და მასალა არასრულყოფილადაა გადმოცემული - 2 ქულა პასუხი ძალიან მოკლეა და არადამაკმაყოფილებლად გადმოცემს მასალას, ზოგიერთი ფაქტი მცდარადაა შეტანილი - 1 ქულა პასუხი არ არის გაცემული, ან არ შეესაბამება შეკითხვას/საკითხს – 0 ქულა <u>დახურული შეკითხვა:</u> პასუხი სწორია - 1 ქულა. პასუხი არასწორია - 0 ქულა. **მოქმედი შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიანკარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩაბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი

	მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ფორმდება F - 0 ქულა. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. **გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:** სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 15 ქულა, სტუდენტი უნდა დაესწროს ჯამური საკონტაქტო საათებიდან მინიმუმ **10-ს**. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი აგროვებს დასკვნითი გამოცდის სულ მცირე 50%-ს.
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება:** 1. ფლობს მუსიკათერაპიის განვითარებისა და მიდგომების ჩამოყალიბების საბაზისო ცოდნას. 2. მიმოიხილავს მუსიკათერაპიის ძირითადი თერაპიული ტექნიკებს. 3.აღწერს მუსიკათერაპიის მიზნებს და მის ფუნქციური დანიშნულებას 4. განსაზღვრავს მუშაობის სტრატეგიებს ადამიანის ინდივიდუალურ მონაცემებზე დაყრდნობით. 5. აანალიზებს მუსიკათერაპიას ფილოსოფიურ, ფსიქო-სოციალურ და კულტურულ ჭრილში. 6. აცნობიერებს მუსიკათერაპიის პოტენციალს, მის მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის,მის ლიმიტაციებს და პრაქტიკასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებს **უნარი** 1. ჩამოთვლის მუსიკათერაპიის საბაზისო მეთოდებს. 2. პრაქტიკაში მიუსადაგებს მუსიკათერაპიული ტექნიკებს შესაბამის ინდივიდუალურ მიზნებს. 3. ეფექტურად არჩევს სხვადასხვა ინსტრუმენტების შესაბამის სტრატეგიებზე დაყრდნობით 4. არჩევს მუსიკათერაპიულ ტექნიკებს სასწავლო/საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის. 5. იყენებს საბაზისო ტექნიკებს სასწავლო/საგაკვეთილო პროცესში ქცევის მართვის მიზნით.
ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა	Davis, W.B., Gfeller, K.E., & Thaut, M. H. (2008). *An introduction to music therapy: Theory and practice.* Silver Spring, MD: American Music Therapy Association. Stevens, C. (2003). *The art and heart of drum circles.* Milwaukee, WI: Hal Leonard Corporation. Grocke, D., & Wigram, T. (2007a). Music and movement. In *Receptive methods in music therapy: Techniques and clinical applications for music therapy clinicians, educators and students* (127-156). London, UK: Jessica Kingsley Publishers.

	Hesser, B. (2001). The transformative power of music in our lives: A personal perspective. Music Therapy Perspectives, 19, 53-58. Stevens, C. (2003). The Art and Heart of Drum Circles. Milwaukee, WI, Hal Leonard Corporation
დამატებითი ინფორმაცია	სტუდენტს მოეთხოვება დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმები სასწავლო პროცესის მსვლელობის დროს როგორც კონსერვატორიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მნიშვნელოვანია, რომ აკადემიურ სივრცეში პროფესიული საქმიანობისას სტუდენტი იყოს პატიოსანი, სამართლიანი და პასუხისმგებლიანი, წარმოადგინოს მხოლოდ საკუთარი ნამუშევრები და არ მიისაკუთროს სხვისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი პროდუქტი ან სრულად, ან ნაწილობრივ. სხვისი ნაშრომების გამოყენებისას სტუდენტმა უნდა მოახდინოს ციტირება APA (*American Psychological Association)* სტილის გათვალისწინებით. აკადემიური გადაცდომის შემთხვევაში სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს კონსულტაციისთვის განსაზღვრული დრო და თარიღი (სემესტრის დასაწყისში წინასწარი შეთანხმდების საფუძველზე).

დანართი № 1

#	ინდიკატორი	1.5 ქულა	1 ქულა	0 ქულა
1.	ტექსტის გამართულობა	*მსჯელობს ლოგიკურად და თანმიმდევრულად. წარმოადგენს არგუმენტ(ებ)ს და დასკვნას. ტექსტი ენობრივად და სტილისტურად გამართულია.*	*მსჯელობს მეტნაკლებად ლოგიკურად და თანმიმდევრულად. წარმოადგენს არამყარ არგუმენტ(ებ)ს და/ან დასკვნას. ტექსტი ენობრივად და სტილისტურად მეტნაკლებად გამართულია.*	*მსჯელობს ალოგიკურად და არათანმიმდევრულად. არ წარმოდგენს არგუმენტ(ებ)ს და /ან დასკვნას. ტექსტი ენობრივად და სტილისტურად გაუმართავია.*
2.	ანალიტიკური მსჯელობა	*განმარტავს ფაქტებს, ახდენს ინტერპრეტირებას და/ან ანალიზს;*	*მეტნაკლებად განმარტავს ფაქტებს, და/ან მეტნაკლებად ახდენს ინტერპრეტირებას/ანალიზს;*	*არ განმარტავს ფაქტებს, არც ინტერპრეტირება და/ან ანალიზი;*

დანართი № 2

#	ინდიკატორი	5-4 ქულა	3-1 ქულა	0 ქულა
1.	**გაცნობიერება, ანალიტიკური მსჯელობა**	*ქეისის პირობა სწორად არის გაგებული და დასმული ამოცანა იდენტიფიცირებულია; სამუშაო მიზნები სწორად არის დასახული და შერჩეული მუსიკათერაპიული სტრატეგიები მიესადაგება ამ მიზნებს; წარმოდგენილია საკითხის აქტუალობა, მიზანი და საკითხის შესახებ დაგროვებული ცოდნა; ვერბალურად აჯამებს გამოყენებულ სტრატეგიებს და მათ შედეგებს გრძელვადიან პერსპექტივაში; განიხილავს ქეის-პრეზენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს აუდიტორიისგან დასმული შეკითხვების საფუძველზე;*	*ქეისის პირობა მეტნაკლებად სწორად არის გაგებული და დასმული ამოცანა მეტნაკლებად იდენტიფიცირებულია; სამუშაო მიზნები სწორად არის დასახული და შერჩეული მუსიკათერაპიული სტრატეგიები მეტნაკლებად მიესადაგება ამ მიზნებს; მეტნაკლები ხარვეზებით წარმოდგენილია საკითხის აქტუალობა, მიზანი და საკითხის შესახებ დაგროვებული ცოდნა; მეტნაკლებად უჭირს ქეის-პრეზენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე აუდიტორიისგან დასმული შეკითხვების საფუძველზე საუბარი-მსჯელობა და/ან საკუთარი პოზიციის დაფიქსირება;*	*ქეისის პირობა არ არის სწორად გაგებული და დასმული ამოცანა არ არის იდენტიფიცირებული; სამუშაო მიზნები არ არის სწორად დასახული და/ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი. ან, შერჩეული მუსიკათერაპიული სტრატეგიები არ მიესადაგება ამ მიზნებს; არ არის წარმოდგენილი საკითხის აქტუალობა, მიზანი და საკითხის შესახებ დაგროვებული ცოდნა; ვერ უზრუნველყოფს ქეის-პრეზენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე აუდიტორიისგან დასმული შეკითხვების საფუძველზე საუბარს მამოტივირებელი კითხვების საფუძველზეც.*

3.	**როლური თამაში**	*ეფექტურად მუშაობს მიზნებზე მუსიკათერაპიული სტრატეგიის თავისებური ინტერპრეტაციით; ახდენს მუსიკათერაპიული სტრატეგიების პრაქტიკულ დემონსტრაციას სიმულაცია-როლური თამაშით. კომუნიკაციას ახდენს აუდიტორიასთან და უზრუნველყოფს მათ ინტერესს და ჩართულობას; იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს/ვერბალურ და მოდელირებულ მითითებებს/სიმღერას/მოძრაობებს/ სხვა მუსიკათერაპიული ელემენტებს; ეფექტურად ახდენს მითითებებსა და ქცევის მართვას სიმულაცია-როლური თამაშის დროს; თავდაჯერებულად და თავისუფლად აკონტროლებს, ლოგიკურად ავითარებს და ასრულებს როლურ-სიმულაციას ფორმატისა და დროსი გათვალისწინებით*	*მეტნაკლებად ეფექტურად მუშაობს მიზნებზე მუსიკათერაპიული სტრატეგიის თავისებური ინტერპრეტაციით; კომუნიკაციას ახდენს აუდიტორიასთან და მეტნაკლებად უზრუნველყოფს მათ ინტერესს და ჩართულობას; იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს/ვერბალურ და მოდელირებულ მითითებებს/სიმღერას/მოძრაობებს/ სხვა მუსიკათერაპიული ელემენტებს; მეტნაკლებად ეფექტურად ახდენს მითითებებსა და ქცევის მართვას სიმულაცია-როლური თამაშის დროს; მეტნაკლებად თავდაჯერებულად და თავისუფლად აკონტროლებს, მეტნაკლებად ლოგიკურად ავითარებს და ასრულებს როლურ-სიმულაციას ფორმატისა და დროსი გათვალისწინებით;*	*არ უზრუნველყოფს როლურ თამაშს.*